BO-105 ტიპის ვერტმფრენების საავიაციო დაზღვევის მომსახურების შესყიდვა

შემსყიდველი: შპს „ავიაკოპტერი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 406252576
შესყიდვის ობიექტი: საავიაციო დაზღვევის მომსახურება
დაზღვევის პერიოდი: 12 თვე
საბოლოო შეთავაზების წარმოდგენის ვადა: არაუგვიანეს 2026 წლის 27 ნოემბრისა

1. შესყიდვის საგანი

შპს „ავიაკოპტერი“ აცხადებს ტენდერს სამი (3) ერთეული BO-105 ტიპის ვერტმფრენის ერთწლიანი საავიაციო დაზღვევის მომსახურების შესყიდვის მიზნით.

სადაზღვევო მომსახურება უნდა მოიცავდეს ვერტმფრენების ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ ძირითად საავიაციო რისკებს, მათ შორის საჰაერო ხომალდების კორპუსის დაზღვევას, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ეკიპაჟის უბედური შემთხვევების დაზღვევას.

2. საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა

წარმოდგენილი სადაზღვევო შეთავაზება სრულად უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 14 ივნისის №95 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის/საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წესის“ მოქმედი რედაქციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დაზღვევა უნდა ითვალისწინებდეს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობის მინიმალურ ლიმიტებს შემდეგი მიმართულებებით:

- მგზავრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მიმართ პასუხისმგებლობა;
- მგზავრთა ბარგის და ტვირთის მიმართ პასუხისმგებლობა;
- მესამე პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების მიმართ პასუხისმგებლობა.

დამატებით, სადაზღვევო დაფარვა უნდა მოიცავდეს ეკიპაჟის უბედური შემთხვევების დაზღვევას, ამ სატენდერო პირობებით განსაზღვრული მოცულობით.

პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთვის მისაღები სადაზღვევო დოკუმენტაციის გაცემა.

3. დაზღვევის ობიექტები

დაზღვევას ექვემდებარება შემდეგი ვერტმფრენები:

1. BO-105 CBS-4 — 4L-AMB;
2. BO-105 CBS-4 — 4L-ALS;
3. BO-105 CBS-4 — 4L-AMD.

თითოეული ვერტმფრენის შეთანხმებული სადაზღვევო ღირებულება (Hull Agreed Value) განისაზღვრება 200,000 აშშ დოლარით.

შემსყიდველი იტოვებს უფლებას სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მოითხოვოს დამატებითი ვერტმფრენის დაზღვევა, ცალკე შეთანხმებული პირობებით.

4. სადაზღვევო დაფარვა

სადაზღვევო შეთავაზება უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

4.1. Hull All Risks

ვერტმფრენის შემთხვევითი დაზიანების, ნაწილობრივი ან სრული განადგურების რისკების დაზღვევა ფრენისა და მიწაზე ყოფნის პერიოდში, მათ შორის როტორების მუშაობისას, პარკირებისას და გაჩერებულ მდგომარეობაში.

4.2. Aviation Liability

მგზავრების, ბარგის, ტვირთისა და მესამე პირების მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ლიმიტების დაცვით.

4.3. Crew Personal Accident

ეკიპაჟის წევრების უბედური შემთხვევების დაზღვევა, მათ შორის შესაბამისი სამედიცინო ხარჯების დაფარვა.

4.4. War and Allied Perils

საომარი, საჰაერო ხომალდის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისა და დაკავშირებული რისკების დაფარვა, შეთანხმებული საერთაშორისო სადაზღვევო პირობების შესაბამისად.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს თითოეული დაფარვის ლიმიტი, ფრანშიზა და ყველა გამონაკლისი.

5. ექსპლუატაციის პირობები

სადაზღვევო დაფარვა უნდა ვრცელდებოდეს შემსყიდველის მიერ შესაბამისი ნებართვებით განხორციელებულ საქმიანობაზე, მათ შორის:

- კომერციული სამგზავრო გადაყვანა;
- ტურისტული და ჩარტერული ფრენები;
- საქმიანი და VIP ფრენები;
- ტექნიკური, საცდელი და გადაფრენის ფრენები, შესაბამისი ნებართვების ფარგლებში;
- სასწავლო და საწვრთნელი ფრენები, წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პირობებით.
- ტვირთის გადაზიდვა

დაზღვევა უნდა მოქმედებდეს საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის მთიან რეგიონებში, ნებადართულ არასერტიფიცირებულ დასაფრენ მოედნებზე ოპერირებისას, საჰაერო ხომალდის ტექნიკური შეზღუდვებისა და შესაბამისი საავიაციო წესების დაცვით.

პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს საქმიანობის სახეობებთან დაკავშირებული ყველა შეზღუდვა და გამონაკლისი.

6. პილოტების დაზღვევა

სადაზღვევო შეთავაზება უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ სამი (3) დასახელებული, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პილოტის მონაწილეობას დაზღვეულ ფრენებში.

შემსყიდველს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაამატოს მეოთხე პილოტი ან შეცვალოს დასახელებული პილოტი, სადაზღვევო კომპანიის წინასწარი შეტყობინებითა და შესაბამისი დადასტურებით.

მეოთხე პილოტის დამატების პირობები და შესაძლო დამატებითი პრემია უნდა მიეთითოს ცალკე. მისი დაუყოვნებლივი ჩართვა არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას.

პრეტენდენტმა უნდა განსაზღვროს პილოტების მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ცვლილებების განხორციელების პროცედურა.

7. სასწავლო და საწვრთნელი ფრენები

ვერტმფრენ **4L-AMD-ის** სადაზღვევო დაფარვა უნდა ითვალისწინებდეს მოქმედი პილოტების BO-105 ტიპზე გადასწავლასა და საწვრთნელ ფრენებს.

აღნიშნული გულისხმობს:

- მოქმედი პილოტების ტიპზე გადასწავლას (Type Rating Training);
- შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინსტრუქტორთან ერთად პრაქტიკულ მომზადებას;
- მოქმედი პილოტების პერიოდულ წვრთნასა და კვალიფიკაციის შენარჩუნების მიზნით განხორციელებულ ფრენებს.

სასწავლო ფრენები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინსტრუქტორის მონაწილეობით.

დაზღვევა არ მოითხოვება დამწყები პილოტების საწყისი მომზადების (Ab Initio Training) ან დამოუკიდებელი სასწავლო (Solo) ფრენებისთვის.

აღნიშნული სასწავლო და საწვრთნელი ფრენების დაფარვა უნდა შედიოდეს ძირითად სადაზღვევო შეთავაზებაში, დამატებითი პრემიის გარეშე.

პრეტენდენტმა უნდა დაადასტუროს სასწავლო ფრენებისას ინსტრუქტორისა და გადამზადებაზე მყოფი მოქმედი პილოტის მიმართ შესაბამისი სადაზღვევო დაფარვის მოქმედება.

8. ვერტმფრენის დროებითი გაჩერება — Ground Risks

შემსყიდველს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, განსაზღვრული ვადით შეაჩეროს ერთი ან რამდენიმე ვერტმფრენის საფრენოსნო ექსპლუატაცია.

გაჩერების პერიოდში სადაზღვევო რისკების შემცირება უნდა აისახოს სადაზღვევო პრემიის გადათვლაზე, შემცირებაზე ან მომდევნო გადასახდელში ჩათვლაზე.

პრეტენდენტმა უნდა განსაზღვროს:

- გაჩერების მინიმალური პერიოდი;
- წინასწარი შეტყობინების ვადა;
- მიწაზე ყოფნის პერიოდში მოქმედი სადაზღვევო დაფარვა;
- პრემიის შემცირების ან გადათვლის მეთოდი;
- ტექნიკური მომსახურებისა და ძრავების მიწაზე გაშვების პირობები;
- საფრენოსნო ექსპლუატაციის განახლების პროცედურა.

გაჩერების პერიოდში დაზღვევამ უნდა შეინარჩუნოს შეთანხმებული მიწისზედა რისკების დაფარვა.

9. ზარალის რეგულირება

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ზარალის რეგულირების სრული პროცედურა, მათ შორის:

- სადაზღვევო შემთხვევის შეტყობინების წესი;
- ზარალის შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები;
- ანაზღაურების განხორციელების ვადები;
- ნაწილობრივი და სრული ზარალის ანაზღაურების პირობები;
- ვერტმფრენის ევაკუაციის, ტრანსპორტირებისა და შეკეთების ხარჯების დაფარვის პირობები.

10. მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

- სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების დამადასტურებელი ინფორმაცია;
- საავიაციო დაზღვევის სფეროში გამოცდილების შესახებ ინფორმაცია;
- სადაზღვევო და გადაზღვევის მონაწილე კომპანიების მონაცემები;
- სადაზღვევო პირობების სრული ტექსტი და ყველა შესაბამისი დანართი;
- პასუხისმგებლობის ლიმიტები და ფრანშიზები;
- ყველა გამონაკლისი და სპეციალური პირობა;
- გადამზღვევთან შეთანხმებული პირობების დადასტურება.

11. ფინანსური შეთავაზება

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს BO-105 ტიპის არანაკლებ სამი ვერტმფრენის ერთწლიანი საავიაციო დაზღვევის ფინანსური შეთავაზება, წინამდებარე სატენდერო მოთხოვნების სრული გათვალისწინებით.

ერთი ვერტმფრენის ერთწლიანი სადაზღვევო პრემიის მაქსიმალური მისაღები ოდენობაა 12,000 აშშ დოლარი.

მითითებული თანხა უნდა მოიცავდეს ყველა სავალდებულო სადაზღვევო დაფარვას, სამ დასახელებულ პილოტს და 4L-AMD-ის სასწავლო-საწვრთნელი ფრენების დაზღვევას.

პრეტენდენტმა ფინანსურ შეთავაზებაში ცალკე უნდა მიუთითოს:

- თითოეული ვერტმფრენის წლიური სადაზღვევო პრემია;
- სამივე ვერტმფრენის ჯამური წლიური პრემია;
- მეოთხე პილოტის დამატების შესაძლო ღირებულება;
- Ground Risks რეჟიმში პრემიის შემცირების ან ჩათვლის პირობები;
- ფრანშიზების ოდენობა;
- სადაზღვევო პრემიის გადახდის პირობები და გრაფიკი.

დადგენილ მაქსიმალურ ღირებულებაზე მაღალი შეთავაზება არ განიხილება.

12. შეთავაზებების შეფასება

სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების შემდეგ წინადადებები შეფასდება ფინანსური და სადაზღვევო პირობების ერთობლიობით.

უპირატესობა მიენიჭება წინადადებას, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნილი დაფარვის სრულ მოცულობას, ხელსაყრელ ფრანშიზებს, ზარალის რეგულირების მისაღებ პირობებსა და ყველაზე კონკურენტულ წლიურ პრემიას.

შემსყიდველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამატებითი განმარტებები, აწარმოოს მოლაპარაკება და არ გააფორმოს ხელშეკრულება, თუ მიღებული შეთავაზებები არ აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს.

13. შეთავაზების წარდგენისა და საბოლოო პირობების შეთანხმების ვადები

პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს სადაზღვევო შეთავაზების მომზადება, შესაბამის გადამზღვევთან პირობების შეთანხმება და საბოლოო კომერციული წინადადების წარმოდგენა **არაუგვიანეს 2026 წლის 27 ნოემბრისა**.

საბოლოო შეთავაზება უნდა მოიცავდეს:

- სადაზღვევო დაფარვის სრულ პირობებსა და ლიმიტებს;
- გადამზღვევთან შეთანხმებული პირობების დადასტურებას;
- საბოლოო წლიურ სადაზღვევო პრემიას;
- ფრანშიზებს, გამონაკლისებსა და სპეციალურ პირობებს;
- შეთავაზების მოქმედების ვადას.

წარმოდგენილი პირობები უნდა იძლეოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების დროულად გაფორმებისა და დაზღვევის უწყვეტობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

ახალი სადაზღვევო პოლისის მოქმედების დაწყების სავარაუდო თარიღი: 2026 წლის 28 დეკემბერი.

სადაზღვევო პერიოდი: 12 თვე.

14. საკონტაქტო ინფორმაცია

შპს „ავიაკოპტერი“
ელ. ფოსტა: geoaviacopter@gmail.ge

ტენდერთან დაკავშირებული კითხვები და განმარტებების მოთხოვნები უნდა წარედგინოს შემსყიდველს სატენდერო პლატფორმის საშუალებით ან მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.